MES 5 22 0000951984

26/08/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 12.08.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:24 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
4. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
8. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

9. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
10. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
11. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **გურანდა ჭელიძე -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**დავით ბურჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
	გოჩა ჩავლეშვილი	**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ასოცირებული პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
	ვლადიმერ ღლონტი		პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
				I

	გაიოზ ფარცხალაძე		პროფესორი, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	
	ზურაბ მეგრელიშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I
	დავით ჩხაიძე		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	I
	არჩილ ჯანგირაშვილი	**შპს საქართველოს უ ნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
	ლუკა ბერაია		ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი	II
	კონსტანტინე თოფურია		რექტორი	II
	მარიამ ჯანჯარია		პროგრამის ხელმძღვანელი	II
	მაია ამაშუკელი		ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	II
	ირმა ნურალოვი-		ხარისხის მართვის მენეჯერი	II
	ვაჟა ვარდიძე	**შპს სულხან-საბა ორ ბელიანის უნივერსი ტეტი**	რექტორი	III
	ნათია შეყილაძე		კანცლერი	III
	დიმიტრი გეგენავა		პრორექტორი	III
	ნინო ქათამაძე		ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი	III
	ნინო წიქვაძე		ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტი	III
	თამთა მიქაბერიძე		ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი	III
	ნათია ჭელიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	III
	მაგდა ცინცაძე	**სსიპ ივანე ჯავახიშვ ილის სახელობის თბილისის სახელმწ იფო უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
	მანანა ხაჩიძე		კომპიუტერული მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი	IV
	ირმა გრძელიძე		თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
	რამაზ ხომერიკი			IV

			ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცხნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	
	თამარ ჭელიძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
	ნანა ქიმერიძე		თსუ ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკრედიტაციის, შეფასებისა და კვლევების განყოფილების უფროსი	IV
	მაია გურგენიძე	**შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში**	რექტორი; პროგრამის ხელმძღვანელი	V
	ანი დემეტრაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	V
	ლაშა მარკოზაშვილი		ვიცე - რექტორი	V
	გაგა გვენეტაძე		ხარისხის თანამშრომელი	V
	ანა გვრიტიშვილი		ხარისხის თანამშრომელი	V
	ნინო მატარაძე	**სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	VI
	ნოდარ ბახტაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	VI
	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამასხურის უფროსი	VI
	მაკა ლაშხია		ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფსოსი	VI
	ირინა სამსონია		მეცნიერებათა და ხელოვნებისფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი	VI
	ავთანდილ თავხელიძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	VII

		სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი		
	პაატა ბრეკაშვილი		პროფესორი, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VII
	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამასხურის უფროსი	VII
	ვახტანგ ბალავაძე		პროფესორო, ტექნოლოგიის სკოლის ხელმძღვანელი	VII
	ანა თოფურია		ტექნოლოგიის სკოლის კურიკულუმის ექსპერტი	VII
	დავით მახვილაძე	**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	VIII
	ლენა შატაკიშვილი		სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი	VIII
	ქეთევან ქუთათელაძე		სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VIII
	თენგიზ მუსელიანი		„ენერგეტიკა და ელექტროინჟინერიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VIII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ინგა ბოჭოიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	რამაზ პაატაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I

4	ბაქარ დუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	დავით სიხარულიძე თამთა ლეკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“) (ჩაერთო „ზუმით“)	II II
7	ლარისა პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ზურაბ ჯანხოთელი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ზაზა ქოიავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	მაია ჭინჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	თამთა კობახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
14	ნანა დიხამინჯია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
15	აზა ჭანტურია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	მარინე ხიზანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	მარიამი ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
18	თეიმურაზ პაპასქირი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
19	ელისო ფანცხავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V
20	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
21	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	V
22	სესილი ქადარია	(ჩაერთო „ზუმით“)	V
23	თეიმურაზ პაპასქირი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
24	მერაბი ჭუმბურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
25	ქეთევან დავითაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
26	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში „ბრიტანეთის კვლევების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისათვის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ენერგეტიკა და ელექტრო-ინჟინერიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭომ პირველ საკითხად განიხილოს ააიპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში „ბრიტანეთის კვლევების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისათვის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ენერგეტიკა და ელექტრო-ინჟინერიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1.პირველი საკითხი : ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 4 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, საკითხის შესწავლის მიზნით, შემოსულია წერილი განმცხადებლის წერილი .განცხადებაში დაფიქსირებულია ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსის, "ბიზნესი მოქმედებაში I", ფინალური გამოცდის ქულასთან დაკავშირებული საკითხები.
2022 წლის 27 მაისს, ცენტრმა წერილით მიმართა განმცხადებელს რჩევით გამოეყენებინა დაწესებულებაში მოქმედი გასაჩივრების მექანიზმი და ამავდროულად, დეტალურად წარმოედგინა ის სხვა გარემოებები, რომელიც განცხადებაში არის ნახსენები.
ცენტრის თანამშრომელმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით, სტუდენტის შეფასების გასაჩივრების მექანიზმი გამჭვირვალეა და მოიცავს 2 ეტაპად სტუდენტის მიერ გასაჩივრების შესაძლებლობას. წერილში დასმული საკითხის კომპლექსური განხილვის შედეგად, საკითხთან დაკავშირებით არ იკვეთება ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტების დარღვევა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა განმცხადებელს წარმოედგინა თავისი პოზიცია.

განმცხადებელმა, ამირან გიგაურმა აღნიშნა, რომ ლექტორის მიერ მოხდა ფინალური პროექტის უსამართლოდ შეფასება. მან გამოხატა უკმაყოფილება აღნიშნულთან დაკავშირებით და გაიარა შესაბამისი პროცედურები დაწესებულებაში. თავდაპირველად გამცხადებელი შეხვდა ლექტორსა და სტუდენტების კოორდინატორს, რომელთა მხრიდანაც წარმოდგენილი იყო იგივე დასაბუთება, შესაბამისად, შეხვედრას არ ჰქონდა არანაირი აზრი. ამასთან შევედრაზე მყოფ პირებს ჰქონდათ მეგობრული დამოკიდებულება ერთმანეთთან. ამის შემდგომ პროცედურა იყო ისეთი, რომ უნდა მომხდარიყო ნაშრომის დეკანთან გასაჩივრება, გამომდინარე აქედან განმცხადებელმა გააგზავნა შესაბამისი წერილი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომლის საპასუხოდაც კოორდინატორმა აღნიშნა, რომ საკითხი იქნა განხილული, მაშინ როდესაც საკითხი უნდა გასულიყო დამოუკიდებელ საბჭოზე, სადაც ისე განიხილებოდა საკითხი, რომ არ ეცოდინებოდათ სტუდენტის ვინაობა. სტუდენტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა უსამართლო პოზიცია როგორც შეფასებასთან, ასევე გასაჩივრების პროცედურებთან და დანარჩენ შეხვედრებთან დაკავშირებით და ამიტომ მიმართა ცენტრს საჩივრით. მან დაამატა, რომ უნივერსიტეტში მსგავსი პრობლემებით, რომელიც ეხება შეფასებასა და გასაჩივრებას, სხვა სტუდენტებიც არიან.
სტუდენტმა, ასევე, განმარტა, რომ ფიზიკურად ვერ მოხდებოდა დებულების შესაბამისად აღნიშნული საბჭოს მოწვევა თავად განმცხადებლის გარეშე, ვინაიდან პროექტის შეფასება მოიცავს 5 კომპონენტს, თითოეული მათგანი არის 5 ქულიანი, რომელთაგან ერთ-ერთი არის პრეზენტაციის შეფასება, გამომდინარე აქედან პრეზენტაციის შეფასების გარეშე შეფასება ვალიდური ვერ იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დებულება

არეგულირებს სტუდენტის შეფასების საკითხებს, რომლის შესაბამისად, სტუდენტს შეუძლია გავიდეს განმეორებით გამოცდაზე, ან გაიმეოროს დასკვნითი დავალება, თუკი მან გადალახა შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ვერ გადალახა დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების შესაბამისად უგროვდება 41 ქულა და მეტი. აღნიშნული შეფასების სისტემა არა ერთხელ იქნა დადებითად შეფასებული აკრედიტაციის ექსპერტების მიერ. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ სტუდენტის მიერ გასაჩივრების პროცედურა ყველა ეტაპზე სამართლიანად წარიმართა.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დებულების ჩანაწერში არსად არ არის მოცემული დამოუკიდებელი საბჭოს მიერ შეფასების საკითხი. მოცემულ შემთხვევაში დამოუკიდებელი განხილვის გარეშე პირველადი შეფასება მართებულად იქნა მიჩნეული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თუ სტუდენტს სილაბუსის მიხედვით წარსადგენი ჰქონდა პროექტი, რამდენად მკაფიოდ არის გაწერილი თავად სილაბუსში შეფასების კრიტერიუმები.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა თუ როგორ არის გასაჩივრების მექანიზმი განსაზღვრულ უნივერსიტეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა სილაბუსი დაწერილია N36 ბრძანების შესაბამისად, გამომდინარე აქედან თითოეული საკითხი ზედმიწევნით არის განსაზღვრული. ამავდროულად, კონკრეტულად მოცემული საგნის მიმართ არ დაფიქსირებულა შენიშვნა. აქედან გამომდინარე, სილაბუსში სრულიად მკაფიოდ ახსნილია სტუდენტების შეფასების კრიტერიუმი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გასაჩივრების მექანიზმი სრულიად სტუდენტზე მორგებულია. სტუდენტის შეფასების გასაჩივრების მექანიზმი გამჭვირვალეა და მოიცავს 2 ეტაპად სტუდენტის მიერ გასაჩივრების შესაძლებლობას. სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს ნაშრომი ლექტორთან ან პირდაპირ მიმართოს საგნის კურატორს, რომელიც შეიძლება იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, კოორდინატორი ან დეკანი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:35

დასრულები სდრო: 15:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

2. მეორე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნავთობისა და გაზის ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	MES 4 20 0000750410, 31/08/2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამთო საქმე და მოპოვება - 0724
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ფიროსმანის ქ.N12
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ, თამარ სირაძემ და ანზორ ბერიძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტები სპოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ნავთობის და გაზის ინჟინერია“, ჩამოყალიბდა მოქმედი აკრედიტებული პროგრამის „ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიების“ საფუძველზე. პროგრამა ხორციელდება ტექნოლოგიური ფაკულტეტის ბაზაზე და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. ფაკულტეტის, უნივერსიტეტის სტრუქტურაში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მატერიალური ბაზა, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო რესურსები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებას. პროგრამას ემსახურება კვალიფიციური აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამა აქტუალურია და მისი განხორციელება მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარებისათვის. „ნავთობის და გაზის ინჟინერიის“ საბაკალავრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს. მათ შორის, სავალდებულო სასწავლო კურსები - 210 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტი - 15 კრედიტი. პროგრამა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის გავლას 3 კრედიტის მოცულობით და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას (10 კრედიტი).
ვიზიტი განხორციელდა 7 ივლისს დღის წესრიგის მიხედვით. ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ ჯგუფებთან: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელებთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ პერსონალთან; სტუდენტებთან; კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან; უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაც ხორციელდება პროგრამა, ბიბლიოთეკა. გადამოწმდა პროგრამით გათვალისწინებული საჭირო რესურსების არსებობა. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი მიგნებები. ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ ატმოსფეროში, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა იყო თანამშრომლობითი და კონსტრუქციული.
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. **1.** გადაიხედოს პროგრამის მიზნები და განისაზღვროს იმ უნარების და კომპეტენციების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლების სფეროების კლასიფიკატორის შესაბამის დეტალურ სფეროსთან თავსებადობა;
2. **2.** პროგრამის მიზნებში აისახოს ცოდნის და უნარების ის ასპექტები, რომლებიც უკავშირდება გაზისა და ნავთობის მარაგების შეფასების საკითხებს, რასაც პროგრამა, სტრუქტურიდან და შინაარსიდან გამომდინარე, რეალურად აძლევს სტუდენტებს.
3. **3.** სწავლის შედეგებში გაიწეროს შესაბამისი ცოდნისა და უნარების ის კომპეტენციები, რომლებიც დაკავშირებულია ნავთობის და გაზის მარაგების შეფასებასთან, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის 0724 დეტალური სფეროს შესაბამისად;
4. **4.** გასწორდეს შეუსაბამობები მეხუთე და მეექვსე სწავლის შედეგების განსაზღვრისას, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონის შესაბამისად;
5. **5.** გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა სასწავლო კურსების სემესტრულ განაწილებასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებს შორის;
6. **6.** გადაიხედოს პროგრამის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მექანიზმი და შემუშავდეს ის თითოული სწავლის შედეგისათვის.
7. **7.** გასწორდეს პროგრამის სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, როგორც პროგრამაში, ისე სასწავლო კურსების სილაბუსებში.
8. **8.** გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი, მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
9. **9.** გადაიხედოს სასწავლო კურსების: „საწარმოო პრაქტიკა“ და „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“ კრედიტების მოცულობა, სწავლის შედეგები და შინაარსი;
10. **10.** გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების შინაარსი იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული საკითხების გადაფარვები.

11. განახლდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები და მიეთითოს „ნავთობის და გაზის ინჟინერიის“ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა, სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.
12. რეკომენდებულია, შეფასების ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;

1. **13.** იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები, გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოს შესრულების შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები.

14. როგრამის ბიუჯეტში, შემოსავლები აღებული იქნას რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით და განისაზღვროს შესაბამისი დამატებითი რესურსები.
15. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გააქტიურება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის, ასევე სასწავლო კურსების შედეგებისა და მიზნების შესაბამისად ფორმირების უზრუნველსაყოფად.

1. **16.** პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და თვითშეფასების ჯგუფმა დაგეგმოს და განახორციელოს, იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეების განვითარების შესაბამისი აქტივობები.

17. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს კომპლექსურად, როგორც შიდა, ისე გარე მექანიზმების გამოყენებით, პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ აღნიშნა, რომ ინსტიტუცია იზიარებს ექპერტთა რეკომენდაციებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა 1.1 კომპონენტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ზუსტ მეცნიერებებს პროგრამაში 19 კრედიტი ეთმობა, შესაბამისად, სტუდენტი ფართო ცოდნას იღებს ზუსტ მეცნიერებებში. ამასთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეთმობა 50 კრედიტამდე. კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით ფართო ცოდნა სტუდენტმა უნდა მიიღოს სწავლის სფეროდან, რასაც აღნიშნული პროგრამა სრულიად უზრუნველყოფს.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პრობლემა მდგომარეობს ტერმინებთან დაკავშირებით. კლასიფიკატორში მოცემულია, რომ 0724 შეისწავლის სასარგებლო წიაღისეულის გაზრდისა და ნავთობის მარაგების შეფასებისა და დედამიწის წირიდან მოპოვების დაგეგმვასა და ა.შ მარაგების შეფასება - ტერმინი როგორც ჩანს უკან იქნა დატოვებული. თუმცა პროგრამის ფარგლებში ტერმინთან დაკავშირდა როგორც მარაგების შეფასება, ასევე, მასზე გაკეთდა სილაბუსი. მარაგების შეფასების მნიშვნელოვანი ტერმინებისა და საკითხების გაერთიანებით პროგრამაში მოცემულია ტერმინი ძებნა-ძიება.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მარაგების შეფასება შედის ძებნა-ძიებაში, სადაც ასევე გაერთიანებულია სხვა პროცესები. შესაბამისად, არ არის აუცილებელი თითოეული საკითხის ცალკე შედეგებში გამოყოფა.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, მე-5 შედეგი გულისხმობს პროექტის შექმნას, ხოლო მე-6 შედეგი პროექტის განხორციელებას. მოცემულია ორი სხვადასხვა ტერმინი. შესაბამისად, რაში მდგომარეობს შეუსაბამობა გაურკვეველია.

მნიშვნელოვანია, ასევე, მე-5 რეკომენდაცია, კერძოდ, რუკაში მოცემულია, რომ მე-4 სემესტრში განსაზღვრული სასწავლო კურსები: ,,სითხეების მექანიკა", ,,გეოფიზიკური კვლევები", რომლებიც პირველი დონით, ანუ გაცნობით გადიან სწავლის პირველ შედეგზე. ასევე, მესამე სემესტრში მოცემულია სასწავლო კურსი ,,გეოდეზია", რომელიც გადის პირველ შედეგზე, თუმცა მე-2 დონით.

რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკას, აღნიშნული მოიცავს 75 საათს, რაც მანამდე იყო 125 საათი. ხოლო, ეკოლოგიას პირიქით, დაემატა კრედიტები. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ ეკოლოგიის საკითხები საკმაოდ ბევრ სასწავლო კურსში არის ჩასმული.

ამასთან,, მე-5 კომპონენტთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობდნენ დაინტერესებული მხარეები: აკადემიური პირები, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. მათ მიერ დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, შედგენილ იქნა სასწავლო კურსების ჩამონათვალი. პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო კურსების ჩამონათვალი გაცნობილი იქნა პროგრამის განმახორციელებელ პირთათვის, რომლებმაც მოამზადეს სასწავლო კურსების სილაბუსები. მომზადებული სილაბუსები განიხილეს სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, სადაც ჩართული და ინფორმირებულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შემდგომში კვლავაც გაგრძელდება და გააქტიურდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის, ასევე სასწავლო კურსების შედეგებისა და მიზნების შესაბამისად ფორმირების უზრუნველსაყოფად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა ითხოვა დაეზუსტებინათ, თუ რამდენი სტუდენტი სწავლობს ამჟამად პროგრამაზე.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ 5.2 კომპონენტთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა იკითხა, თუ რა სახის ღონისძიებები ტარდებოდა დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავების მიზნით. ამასთან, დასკვნაში არსებული მითითების თანახმად, მან აღნიშნა, რომ, სასურველია, გასწორდეს ტერმინოლოგიური უზუსტობები როგორც პროგრამაში, ასევე სილაბუსებში. შესაბამისად, მოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე ამჟამად სწავლობს 4 სტუდენტი.
რაც შეეხება 5.2 სტანდარტს, აღნიშნული არის თვითშეფასების ხარვეზი, რომ არ წარმოადგინეს ანგარიში წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. თუმცა, რეალურად ეს რეკომენდაციები მთლიანად შესრულდა, მაგრამ ისინი ერთიანად დასტრუქტურირებულად არ იყო წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში 5.2 კომპონენტთან მიმართებით.
ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი რეგულირდება ინტერნაციონალიზაციის დებულებით. მან დაამატა, რომ ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდის მიმართულებით ამჟამად დაგეგმილია არა ერთი აქტივობა აზერბაიჯანის ნავთობის კომპანიებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
რაც შეეხება ტერმინოლოგიურ უზუსტობებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ, სასურველია, დაიხვეწოს ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების მიხედვით გამოყენებული ტერმინოლოგია. მაგალითად, სასწავლო კურსში „ნავთობისა და გაზის სარეწაო გეოლოგია და მარაგების გამოთვლა“ გამოყენებულია ტერმინი „კარბონატული და დაბზარული კოლექტორები“. ნავთობისა და გაზის მიმართულებით ტერმინი „დაბზარული“ არ გამოიყენება, სასურველია მის მაგივრად გამოიყენებოდეს ტერმინი „ნაპრალოვანი“.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:13
დასრულების დრო: 16:34
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

,,ნავთობისა და გაზის ინჟინერიის" საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2025 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულება სგანესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:
კომპონენტი 1.1

- გადაიხედოს პროგრამის მიზნები და განისაზღვროს იმ უნარების და კომპეტენციების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლების სფეროების კლასიფიკატორის შესაბამის დეტალურ სფეროსთან თავსებადობა;
- პროგრამის მიზნებში აისახოს ცოდნის და უნარების ის ასპექტები, რომლებიც უკავშირდება გაზისა და ნავთობის მარაგების შეფასების საკითხებს, რასაც პროგრამა, სტრუქტურიდან და შინაარსიდან გამომდინარე, რეალურად აძლევს სტუდენტებს.

კომპონენტი 1.2

- სწავლის შედეგებში გაიწეროს შესაბამისი ცოდნისა და უნარების ის კომპეტენციები, რომლებიც დაკავშირებულია ნავთობის და გაზის მარაგების შეფასებასთან, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის 0724 დეტალური სფეროს შესაბამისად;
- გასწორდეს შეუსაბამობები მეხუთე და მეექვსე სწავლის შედეგების განსაზღვრისას, ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონის შესაბამისად;
- გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა სასწავლო კურსების სემესტრულ განაწილებასა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებს შორის;
- გადაიხედოს პროგრამის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მექანიზმი და შემუშავდეს ის თითოული სწავლის შედეგისათვის.

კომპონენტი 2.2

- გასწორდეს პროგრამის სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, როგორც პროგრამაში, ისე სასწავლო კურსების სილაბუსებში.

კომპონენტი 2.3

- გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და შინაარსი, მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;
- გადაიხედოს სასწავლო კურსების: „საწარმოო პრაქტიკა“ და „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“ კრედიტების მოცულობა, სწავლის შედეგები და შინაარსი;
- გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების შინაარსი იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული საკითხების გადაფარვები.

კომპონენტი 2.4

- განახლდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები და მიეთითოს „ნავთობის და გაზის ინჟინერიის“ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა, სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.

კომპონენტი 2.6

- რეკომენდებულია, შეფასების ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით;
- იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები, გაიწეროს ლაბორატორიული სამუშაოს შესრულების შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები.

კომპონენტი 4.4

- პროგრამის ბიუჯეტში, შემოსავლები აღებული იქნას რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით და განისაზღვროს შესაბამისი დამატებითი რესურსები.

კომპონენტი 5.1

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გააქტიურება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის, ასევე სასწავლო კურსების შედეგებისა და მიზნების შესაბამისად ფორმირების უზრუნველსაყოფად.
- პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და თვითშეფასების ჯგუფმა დაგეგმოს და განახორციელოს, იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეების განვითარების შესაბამისი აქტივობები.

კომპონენტი 5.2

- რეკომენდებულია, პროგრამა რეგულარულად იყენებდეს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს და უზრუნველყოფილ იქნას აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

კომპონენტი 5.3

- პროგრამის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს კომპლექსურად, როგორც შიდა, ისე გარე მექანიზმების გამოყენებით, პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

- **§ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კომპონენტი 1.1

- სასურველია, შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და განისაზღვროს განვითარების შესაძლებლობები ამ მიმართულებით.

კომპონენტი 1.2

- სასურველია სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობა და აკადემიური პერსონალის კომპეტენციების გაუმჯობესება სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მექანიზმებთან მიმართებაში.

კომპონენტი 2.2

- სასურველია, სავალდებულო სასწავლო კურსებიდან განისაზღვროს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები;
- სასურველია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობა პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის ფორმირების პროცესში;
- სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ სხვა უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა.

კომპონენტი 2.3

- სასურველია, გასწორდეს ტერმინოლოგიური უზუსტობები პროგრამაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში.

კომპონენტი 2.4

- სასურველია, საერთაშორისო საბიბიოთეკო ბაზებში არსებული ლიტერატურის გამოყენების შესაძლებლობებიშ შესახებ, სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისას;
- სასურველია, სასწავლო კურსების „ნავთობქიმიის საფუძვლები“ და „ნავთობის და გაზის ქიმია“ ლაბორატორიული მეცადინეობების განხორციელებისას საუნივერსიტეტო რესურსების გამოყენება;
- სასურველია გაიზარდოს პროგრამის სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვის მაჩვენებლები.

კომპონენტი 2.5

- ვინაიდან, სასწავლო კურსები მეტწილად ფოკუსირებულია ორი მეთოდის ირგვლივ, სასურველია, სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება, რათა მეტად იყოს უზრუნველყოფილი მეთოდების სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან შესაბამისობა.

კომპონენტი 4.3

- სასურველია, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და ზოგიერთი სასწავლო კურსის განხორციელების ადგილის დაზუსტება.

კომპონენტი 5.3

- სასურველია, შემუშავდეს უცხოური უნივერსიტეტების ანალოგ პროგრამებთან დადარების ანალიზის დოკუმენტი.

3. მესამე საკითხი : შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას77ა, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის IV კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადეს ნათია ზედგინიძემ და ირინა გველესიანმა.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ბაზაზე განსახორციელებელი ახალი ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში მოაზრებულ პირებთან პირისპირ და ონლაინ რეჟიმში (ზუმის პლატფორმის მეშვეობით) გაიმართა გასაუბრებები წინასწარ განსაზღვრული განრიგის მიხედვით. ვიზიტი განხორციელდა კოლეგიალურ რეჟიმში. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციის მოწოდება მოხდა ეფექტურად და დროულად.
შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველისტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. **1.** რეკომენდებულია, დაკორეკტირდეს ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და მოვიდეს შესაბამისობაში თვითშეფასებაში მოცემულ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
2. **2.** რეკომენდებულია, ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების კომოპონენტს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ოპერაციათა მენეჯმენტი და მიწოდების ჯაჭვის მართვა", ,,ფინანსური მენეჯმენტი" მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ორივე რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროექტი მოიცავს 18 კრედიტს, რაც განსხვავდება ტრადიციული 24 კრედიტისგან და სთხოვა დაეზუსტებინათ თუ რამდენად საკმარისია აღნიშნული კრედიტების რაოდენობა.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ ,,შრომის კანონმდებლობის სამართლებრივი ჩარჩოების" სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემული ლიტერატურა არის 2011-2014 წლის სტატიათა კრებულები. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ კანონმდებლობამ განიცადა რიგი მნიშვნელოვანი ცვლილება. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რამდენად შეესაბამება მოცემული ლიტერატურა აღნიშნული კურსის სასწავლო შედეგებს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის დასახელება ადამიანური კაპიტალის მართვაა და ციფრული ტრანსფორმაცია და დაინტერესდა, თუ რატომ სახელწოდება

იყო ადამიანური კაპიტალის და არა ადამიანური რესურსების მართვა. მან განმარტა, რომ ადამიანური კაპიტალი უფრო ფართო ცნებაა, ამასთან პროგრამაში ნაკლებად არის წარმოდგენილი ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების საკითხები.
საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა ითხოვა დაეზუსტებინათ, თუ რამდენად არის პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარ იპოზიცია.
ექსპერტმა სამაგისტრო პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემული კრედიტების რაოდენობა სრულიად საკმარისია გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაში მოაზრებულია ორი სავალდებულო კომპონენტი - აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები, რომლებიც, ასევე, მიმართულია იმისკენ, რომ ნებისმიერმა მაგისტრანტმა მაღალი ხარისხის სამაგისტრო ნაშრომი შექმნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შრომის სამართლის სილაბუსი სპეციალურად შეიქმნა მოცემული სამაგისტრო პროგრამისთვის. სილაბუსი შედგენილია დოქტორანტის მიერ და მასში მითითებულია უახლესი ლიტერატურა, რაც რელევანტურია მოცემულ სილაბუსთან მიმართებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, განმარტა, რომ პროგრამაში არ არის საუბარი სახელმწიფოს მიერ ადამიანური კაპიტალის მართვის საკითხებზე, საუბარია წმინდად კორპორატიულ ადამიანურ კაპიტალზე. ეს მიდგომა აირჩიეს ბოლო ხედვებისა და კონცეფციებზე დაყრდნობით. საფუძველი ამისა მდგომარეობას იმაში, თუ როგორ ხედავს ორგანიზაცია ადამიანს. ადამიანური კაპიტალისა და მასში ინვესტირების საკითხები იფარება ყველა სასწავლო კურსში და ცალკე საგნად მოცემული არ არის.
გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ჯერ არ დაწყებულა, ხელმძღვანელი პროგრამის სამეცნიერო საქმიანობაში არ არის ჩართული. თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამომდინარე იქიდან, რომ თავად არის ახალგაზრდა მკვლევარი. პროგრამის ხელმძღვანელი ამჟამად დოქტორანტია და წარმოდგენილია მოწვეული ლექტორის სტატუსით.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:55
დასრულების დრო: 17:28
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტიას, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე .

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაკორეკტირდეს ადამიანური კაპიტალის მართვისა და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და მოვიდეს შესაბამისობაში თვითშეფასებაში მოცემულ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- რეკომენდებულია ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების კომოპონენტს დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ოპერაციათა მენეჯმენტი და მიწოდების ჯაჭვის მართვა", ,,ფინანსური მენეჯმენტი" მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
- პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო კომპეტენციები, სამეცნიერო- კვლევითი და აკადემიური გამოცდილება და იგი უნდა იყოს აფილირებული აკადემიური პერსონალი

რჩევები:

- სასურველია უსდ-მ ყველა შესაძლო საკომუნიკაციო ინსტრუმენტით მიაწოდოს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების, აქტივობების, კონფერენციების და გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჩართოს სხვა დამატებითი მექანიზმები ამ პროცესში.
- სასურველია უსდ-მ კონკრეტულად ამ სამაგისტრო პროგრამისთვის დამატებითი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი დროულად დაასრულოს, რათა სტუდენტებს უფრო მეტი არჩევანის საშუალება ქონდეთ გაცვლითი პროგრამების მიმართულებით.

4. მეოთხე საკითხი : შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ადამიანური რესურსების მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ N3
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ეკატერინე ნაცვლიშვილმა.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2022 წლის 1 ივლისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტი წარიმართა შერეულ ფორმატში, Google Meet პლატფორმის გამოყენებით. უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფისთვის უზრუნველყო სამუშაო გარემო. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, უნივერსიტეტში მოქმედი მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაგეგმილი შეხვედრები და დათვალიერდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოწმდა სილაბუსში მითითებული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობა და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა. უნივერსიტეტმა ვიზიტის დროს წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. **1.** რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კურსებში დამატებული იქნას ისეთი სასწავლო კურსი როგორიცაა ორგანიზაციული ფსიქოლოგია, რომელიც პროგრამაში წარმოდგენილი არჩევითი კურსის სახით და შესაბამისად საჭირო იქნება მისი სტატუსის ცვლილება;
2. **2.** რეკომენდებულია, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი ემოციური ინტელექტის კომპონენტები, მაგალითად ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა „ლიდერობა და მართვა“ და „მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციებში“;
3. **3.** რეკომენდებულია, „კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS“ სასწავლო კურსის შინაარს დაემატოს თვისობრივი კვლევის კომპონენტები და კურსის მოცულობა გაიზარდოს 6 კრედიტამდე;
4. **4.** რეკომენდებულია, განახლდეს ცალკეული სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა, კერძოდ მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები, კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკების ხელოვნება, ლიდერობა და გუნდის მართვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართადაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის ექსპერტთა რეკომენდაციები პრინციპულად მისაღებია. რაც შეეხება მათი გათვალისწინების საკითხს, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან განხილვების შემდეგ დეტალურად გაიწერება თუ რა ცვლილებები უნდა გატარდეს აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდეძი ბუჩაშვილი დაინტერესდა, თუ რა აკადემიური კვალიფიკაცია აქვს პროგრამის ხელმძღვანელს და რა პოზიციას იკავებს უნივერსიტეტში.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ ლიდერობისა და სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვის სილაბუსში თემები ერთმანეთში არეულია დააზუსტა, ხომ არ არის სახეზე რაიმე ტექნიკური ცდომილება.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა სასწავლო კურსებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოცემული საკითხები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ლიტერატურის მხრივაც საკმაოდ რთულია ზღვარის გავლება, თუმცა დაწესებულებას მოუწევს ამ კუთხით აქტიური მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის აფილირებული და ასოცირებული პროფესორია და ამასთან არის 29 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ორივე საგანი წარმოადგენს სავალდებულო სასწავლო კურსს, შესაბამისად, ტექნიკური ხარვეზი მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება და სახეზე არ არის საკითხების გადაფარვა. თუმცა დაწესებულების მიერ მოხდება საკითხის გადახედვა და სასწავლო კურსების დამუშავება.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:39
დასრულების დრო: 17:43
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქნტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ,,ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსებში დამატებული იქნას ისეთი სასწავლო კურსი როგორიცაა ორგანიზაციული ფსიქოლოგია, რომელიც პროგრამაში წარმოდგენილი არჩევითი კურსის სახით და შესაბამისად საჭირო იქნება მისი სტატუსის ცვლილება;
2. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებში უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი ემოციური ინტელექტის კომპონენტები, მაგალითად ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა „ლიდერობა და მართვა“ და „მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციებში“;
3. რეკომენდებულია „კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS“ სასწავლო კურსის შინაარს დაემატოს თვისობრივი კვლევის კომპონენტები და კურსის მოცულობა გაიზარდოს 6 კრედიტამდე;
4. რეკომენდებულია განახლდეს ცალკეული სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა, კერძოდ მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები, კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკების ხელოვნება, ლიდერობა და გუნდის მართვა;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების უფრო ლაკონურად წარმოდგენა, რაც კიდევ უფრო აღქმას და მარტივად გაზომვადს გახდის პროგრამის სწავლის შედეგებს;
2. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე მკაფიოდ აისახოს კონკრეტულად პროგრამის რომელი სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობას;
3. სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაზუსტდეს რა იგულისხმება ინგლისური ენის ცოდნის აღიარების დროს ,,ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი“ ჩანაწერში, სადაც ,,არასრული კურსი“ იწვევს გარკვეულ კითხვებს. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდისას „არჩეული სპეციალობის ცოდნის ზოგადი დონე“ დადგენის საკითხს;
4. სასურველია სასწავლო კურსი „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში“ სავალდებულო კომპონენტიდან გადავიდეს არჩევით კომპონენტებში;
5. სასურველია დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა პრაქტიკის ობიექტების ქსელის გაფართოებაზე და მეტ პროფილურ დამსაქმებელთან გააფორმოს თანამშრომლობის მემორანდუმი;
6. სასურველია პრაქტიკული კლინიკა იყოს სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამის იმ სტუდენტებისთვის რომლებიც არ არიან დასაქმებული პროგრამის პროფილის შესაბამისად, ამასთან თუკი სტუდენტი მუშაობს ისეთ დაწესებულებაში/კომპანიაში, რომელშიც განხორციელებული საქმიანობა დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილი პრაქტიკული კომპონენტის შინაარსის და სწავლის შედეგების თავსებადია, ამ შემთხვევაში, დაწესებულების მხრიდან უზრუნველყოფილი იყოს, სტუდენტის სურვილისა და მიმართვის შემთხვევაში, შესაბამისი მექანიზმის შექმნა, რათა მოხდეს დასაქმებული სტუდენტის სამუშაო ადგილზე მიღებული ცოდნისა და უნარების შეფასება;
7. სასურველია განახლებული იქნეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარკვეული ნაწილის პირადი საქმეები, სადაც განახლებული უნდა იქნეს ინფორმაცია მათი სამეცნიერო თუ პრაქტიკული აქტივობების, სტატუსის უნივერსიტეტში და სხვა მოთხოვნილი კრიტერიუმების შესახებ;
8. სასურველია გრძელვადიან პერიოდში უნივერსიტეტმა გააგრძელოს მუშაობა პროგრამაში მეტი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მოსაზიდად, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროგრამის სამაგისტრო კვლევითი პროექტების პოტენციური ხელმღვანელების არჩევანს.

5. მეხუთე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება (ქართულ- ფრანგული) Computer Science (Georgian-French)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N53 27/08/2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. 13,თბილისი,თსუ XI კორპუსი, 0177.საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადეს - ნინო ჭალაგანიძემ, ირინა გველესიანმა და დავით ჩოჩიშვილმა

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა 2007-2008 წლებში ფრანგულ უნივერსიტეტთან „პარი-8“ თანამშრომლობით, მან აკრედიტაცია გაიარა 10/28/2011 (გადაწყვეტილება N215). 2018 წელს, უნივერსიტეტთან „პარი-8“ გაფორმებული ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, მოხდა ქართულენოვან კომპიუტერულ მეცნიერების პროგრამასთან (რომელიც ამ პერიოდში მოდიფიცირდა ABET სტანდარტების შესაბამისად) პროგრამის დაახლოება, როდესაც ზოგ კურსს დაემატა ქართულენოვანი კომპიუტერული მეცნიერების პროგრამაში არსებული კურსების ალტერნატივა, რომ მომხდარიყო ადამიანური რესურსების ეფექტური გამოყენება. პროგრამით განსაზღვრული 240 ECTS კრედიტების შესაბამისი დისციპლინების შესწავლის შემდეგ, თუკი სტუდენტი დააკმაყოფილებს მეოთხე კურსზე ორმაგი ხარისხის პროგრამაზე შერჩევის კრიტერიუმებს, ის მიიღებს ორ ხარისხს - თსუ კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრის ხარისხს და ევრის უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს ინფორმატიკაში.

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 6 ივლისს. პროგრამით განსაზღვრული ლექციები სრულად ტარდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე.წ. ბიოლოგების კორპუსში, თუმცა იმ მიზეზით, რომ ამ კორპუსში ინტერნეტის პრობლემებია, უნივერსიტეტმა ექსპერტთა ვიზიტი დაგეგმა თსუ პირველ კორპუსში. ვიზიტი დაიწყო ქაოსურად და ვერ მოხდა დღის წესრიგით განსაზღვრული დროის დაცვა რამდენიმე მიზეზის გამო: გაუმართავი ხმის სისტემის გამო ძალიან რთული აღმოჩნდა საფრანგეთიდან ონლაინ ჩართული თანახელმძღვანელთან და პროფესორებთან კომუნიკაცია; დაახლოებით 15 - 20 წუთი დასჭირდა მინიმალურად მისაღები კომუნიკაციის გზის მოფიქრებას; ინტერნეტის ხარვეზების გამო კომუნიკაციას დასჭირდა ორჯერ მეტი დრო; ვიზიტის დროს ძალიან ცხელოდა და ოთახში არ იყო კონდიციონერი; დღის წესრიგი შესრულდა, ძირითადად, გეგმის მიხედვით, მაგრამ მოწვეული ლექტორების და პროფესორების მცირე რაოდენობით, საიდანაც რთული იყო დასკვნის გამოტანა პროგრამის განვითარებაში მათი ჩართულობის შესახებ; თავად ბიოლოგების კორპუსში ვიზიტი განხორციელდა გამართულად, თუმცა ვერ მოხერხდა ბიბლიოთეკის დათვალიერება, რადგან კარი იყო დაკეტილი და გასაღები ჰქონდა თანამშრომელს. მოხდა კომპიუტერული კლასების, აუდიტორიების და ლაბორატორიების დათვალიერება; ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები და თვითშეფასების ჯგუფი დეტალურად პასუხობდა ყველა კითხვას და დამატებით გამოაგზავნეს საჭირო დოკუმენტები.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. **1.** თავიდანვე განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციების ზღვრები ქართულ ენასა და მათემატიკაში.
2. **2.** დაემატოს ინგლისური ენის გამოცდა.

3. **3.** უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განისაზღვროს ქართული ენის, მათემატიკის და ინგლისური ენის გამოცდები.
4. **4.** მკაფიოდ გაიწეროს პროგრამაში, თუ რა პროცედურები უნდა გაიარონ სტუდენტებმა ორმაგი დიპლომის მისაღებად;
5. **5.** მოხდეს ფრანგული ენის ცოდნის მიხედვით სტუდენტების დაყოფა და შესაბამისი კურსების შეთავაზება;
6. **6.** დაემატოს კურსები „ჩაშენებული სისტემები“, „კიბერუსაფრთხოება“, „ბლოკჩეინი“, „ტექმეწარმეობა“, „საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვა“, „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“, „UI/UX დიზაინი“, „პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება“.
7. **7.** არჩევითი კურსი „შესავალი ლინუქს სისტემებში“ გახდეს სავალდებულო.
8. **8.** შეიცვალოს კურსის „პირადი შესწავლისა და ინტეგრაციის პროექტის“ სახელი და თემები;
9. **9.** განახლდეს კურსის „შესავალი დაპროგრამებაში“ დამატებითი ლიტერატურა;

10. განახლდეს კურსის „ვებ-პროგრამირება“ ძირითადი ლიტერატურა;
11. დაემატოს კურსს „ოოპ-C#“ თანამედროვე ინგლისურენოვანი რესურსები და გაიწეროს პროექტის ტიპები, ეტაპები და ვადები;
12. გაღრმავდეს და გართულდეს კურსის „Java Script - დინამიური ვებ-გვერდების პროგრამირება“ საკითხები ისე, რომ კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლოს მარტივი ვებ-გვერდის შექმნა მაინც. განახლდეს მოცემული კურსის ლიტერატურა;
13. შეიცვალოს კურსი „სისტემათა ადმინისტრირება“ ისე, რომ ითვალისწინებდეს ლინუქსის და ახალი Windows Server-ის ადმინისტრირების საკითხებს. დაემატოს კურსს სისტემის ადმინისტრირების უსაფრთხოების საკითხები. განახლდეს კურსის ლიტერატურა ახალი საკითხების შესაბამისად და ამოღებულ იქნას ვიკიპედიის ლინკები;
14. გასწორდეს კურსის „ფორმალური ენები და ავტომატები“ ლიტერატურა ისე, რომ მიეთითოს ლიტერატურა უნივერსიტეტის და არა პირადი ბიბლიოთეკიდან. რუსულენოვანი ლიტერატურა სრულად ჩანაცვლდეს ინგლისურენოვანი ლიტერატურით. ზოგადი ტიპის ლიტერატურა, მაგალითად „ინტერნეტში შესაბამისი მასალის ელექტრონული ვერსიები“ დაკონკრეტდეს;
15. სასწავლო კურსის „კომპიუტერული წიგნიერება“ მიზნები და შედეგები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში და სწავლის შედეგები დაკონკრეტდეს. დაზუსტდეს, რას ნიშნავს „პროცედურა“ შუალედურ და დასკვნითი გამოცდების შეფასებებში. გაიწეროს კომპონენტების შეფასების ქულები. დაკონკრეტდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. კურსის საკითხები ისე განახლდეს, რომ რელევანტური იყოს კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის და არ იმეორებდეს საშუალო საფეხურის სავალდებულო თემებს.
16. გასწორდეს კურსის „ალბათობა და სტატისტიკა“ მიზნები.
17. გასწორდეს კურსის „დისკრეტული სტრუქტურები“ მიზნები შინაარსობრივად და სტილისტურად. დაემატოს კომპონენტის „პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა სამიზნე აუდიტორიასთან“ შეფასების შესაძლებლობა. დაზუსტდეს შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე საკითხების რაოდენობა და თითოეული საკითხის შეფასების კრიტერიუმები. ჩანაცვლებულ იქნას რუსულენოვანი ლიტერატურა.
18. გასწორდეს სასწავლო კურსის „კალკულუსი კომპიუტერული მეცნიერებისთვის“ მიზნები ისე, რომ კონკრეტულად მოცემული კურსის არსს ითვალისწინებდეს.
19. მკაფიოდ გაიწეროს პროგრამის აღწერაში, თუ როგორ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.
20. გაუმჯობესდეს ინტერნეტის ხარისხი უნივერსიტეტში.
21. შიდა საუნივერსიტეტო აქტივობებთან და რესურსებთან დაკავშირებით გაძლიერდეს სტუდენტების ინფორმირების და ჩართულობის მექანიზმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექპსერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის. მუხედავად იმისა, რომ პროგრამა წლებს განმავლობაში ხორციელდებოდა, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა სრულიად განსხვავებული იყო. ამ შემთხვევაში დაწესებულება დაეყრდნო იმ გამოცდილებას, რომელიც განმახორციელებლებს ჰქონდათ კომპიუტერულ მეცნიერებებთან და, ზოგადად, ABET-თან მიმართებით. ამასთან დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს პროგრამა იქნებოდა იმ პროგრამათაგანი, რომელიც ქართულ-ფრანგული ინსტიტუტის ქოლგის ქვეშ განხორციელდებოდა და ორმაგი ხარისხის მინიჭების შესაძლებლობას უზრუნველყოფდა. მან განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტს ექნება შესაძლებლობა დაასრულოს პროგრამა თბილისში, ან შეუძლია მე-4 წელს ისწავლოს საფრანგეთში და მოცემულ შემთხვევაში ურთიერთაღიარების პრინციპის თანახმად მოხდება ორი დიპლომის გაცემა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა ითხოვა დაეზუსტებინათ, თუ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება ფრანგული ენის შესწავლას მე-4 კურსამდე. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხელშეკრულების შესაბამისად, ფრანგული მხარისათვის მისაღებია ყველაზე დაბალი დონის ცოდნაც - A2. ამასთან, კურიკულუმში გათვალისწინებულია ოთხი ფრანგული ენა. ამ კურსების გარდა, ყოველწლიურად საფრანგეთის საელჩოს მხრიდან, ფრანგულის მასწავლებელი სტუდენტებისთვის ატარებს დამატებით კურსებს ფრანგულ ენაში.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის ფარგლებში ფრანგულ ენასთან ერთად ისწავლება, ასევე, ინგლისური ენაც. თუმცა, კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა საგნისთვის გაწერილია ქართული ლიტერატურა, რომელიც სრულად არის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი. ძირითადი ლიტერატურისთვის გამოყენებულია დაწესებულების წარმომადგენლების მიერ თარგმნილი და შექმნილი რიდერები. ამასთან, სხვა ენა ჩაბარებულ სტუდენტებს პრაქტიკის შესაბამისად არ აქვთ არანაირი პრობლემა პროგრამის დაძლევასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მიღების წინაპირობებს, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერდადგენილი წესების დაცვით. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. დამატებით სტუდენტმა უნდა დააკმაყოფილოს პირობები, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში (დანართი 7): „ორმაგი ხარისხის სასწავლო პროგრამაზე განაცხადის წარდგენის მსურველმა სტუდენტებმა უნდა მიიღონ მინიმუმ სამ წლიანი უმაღლესი განათლება (მინიმუმ 180 კრედიტი) კომპიუტერული მეცნიერების დარგში. ამასთანავე, ისინი უნდა ფლობდნენ ფრანგულ ენას ევროსაბჭოს მიერ დადგენილი ენის ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს შესატყვის B1 დონეს. კანდიდატები თავისუფლდებიან ენის გამოცდისაგან, თუ მათ აქვთ B1 ან, უფრო მაღალი დონის ენის ცოდნის

დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს ევროპულ საკვალიფიკაციო სტანდარტებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:30

დასრულების დრო: 18:45

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული მეცნიერების (ქართულ-ფრანგული)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2025 წლის 31 დეკემბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. შრომის ბაზრის კვლევა ჩატარდეს უფრო საფუძვლიანად და გათვალისწინებული იყოს სწავლის შედეგების შემუშავებაში.
2. სტუდენტების ინფორმირება, თუ რა საძიებლო სისტემისა და ელექტრონული ჟურნალებსა და ბაზებს ფლობს უნივერსიტეტი.
3. თავიდანვე განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციების ზღვრები ქართულ ენასა და მათემატიკაში.
4. მკაფიოდ გაიწეროს პროგრამაში, თუ რა პროცედურები უნდა გაიარონ სტუდენტებმა ორმაგი დიპლომის მისაღებად;
5. დაემატოს კურსები „ჩაშენებული სისტემები“, „კიბერუსაფრთხოება“, „ბლოკჩეინი“, „ტექმეწარმეობა“, „საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვა“, „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“, „UI/UX დიზაინი“, „პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება“.
6. არჩევითი კურსი „შესავალი ლინუქს სისტემებში“ გახდეს სავალდებულო.
7. შეიცვალოს კურსის „პირადი შესწავლისა და ინტეგრაციის პროექტის“ სახელი და თემები;
8. განახლდეს კურსის „შესავალი დაპროგრამებაში“ დამატებითი ლიტერატურა;
9. განახლდეს კურსის „ვებ-პროგრამირება“ ძირითადი ლიტერატურა;
10. დაემატოს კურსს „ოოპ-C#“ თანამედროვე ინგლისურენოვანი რესურსები და გაიწეროს პროექტის ტიპები, ეტაპები და ვადები;

11. გაღრმავდეს და გართულდეს კურსის „Java Script - დინამიური ვებ-გვერდების პროგრამირება“ საკითხები ისე, რომ კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლოს მარტივი ვებ-გვერდის შექმნა მაინც. განახლდეს მოცემული კურსის ლიტერატურა;
12. შეიცვალოს კურსი „სისტემათა ადმინისტრირება“ ისე, რომ ითვალისწინებდეს ლინუქსის და ახალი Windows Server-ის ადმინისტრირების საკითხებს. დაემატოს კურსს სისტემის ადმინისტრირების უსაფრთხოების საკითხები. განახლდეს კურსის ლიტერატურა ახალი საკითხების შესაბამისად და ამოღებულ იქნას ვიკიპედიის ლინკები;
13. გასწორდეს კურსის „ფორმალური ენები და ავტომატები“ ლიტერატურა ისე, რომ მიეთითოს ლიტერატურა უნივერსიტეტის და არა პირადი ბიბლიოთეკიდან. რუსულენოვანი ლიტერატურა სრულად ჩანაცვლდეს ინგლისურენოვანი ლიტერატურით. ზოგადი ტიპის ლიტერატურა, მაგალითად „ინტერნეტში შესაბამისი მასალის ელექტრონული ვერსიები“ დაკონკრეტდეს;
14. სასწავლო კურსის „კომპიუტერული წიგნიერება“ მიზნები და შედეგები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში და სწავლის შედეგები დაკონკრეტდეს. დაზუსტდეს, რას ნიშნავს „პროცედურა“ შუალედურ და დასკვნითი გამოცდების შეფასებებში. გაიწეროს კომპონენტების შეფასების ქულები. დაკონკრეტდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. კურსის საკითხები ისე განახლდეს, რომ რელევანტური იყოს კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის და არ იმეორებდეს საშუალო საფეხურის სავალდებულო თემებს.
15. გასწორდეს კურსის „ალბათობა და სტატისტიკა“ მიზნები.
16. გასწორდეს კურსის „დისკრეტული სტრუქტურები“ მიზნები შინაარსობრივად და სტილისტურად. დაემატოს კომპონენტის „პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა სამიზნე აუდიტორიასთან“ შეფასების შესაძლებლობა. დაზუსტდეს შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე საკითხების რაოდენობა და თითოეული საკითხის შეფასების კრიტერიუმები. ჩანაცვლებულ იქნას რუსულენოვანი ლიტერატურა.
17. გასწორდეს სასწავლო კურსის „კალკულუსი კომპიუტერული მეცნიერებისთვის“ მიზნები ისე, რომ კონკრეტულად მოცემული კურსის არსს ითვალისწინებდეს.
18. გაუმჯობესდეს ინტერნეტის ხარისხი უნივერსიტეტში.

რჩევები:

1. გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირება ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომასთან დაკავშირებით
2. წახალისდეს მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა საუნივერსიტეტო აქტივობებში
3. მოხდეს ფრანგული ენის ცოდნის მიხედვით სტუდენტების დაყოფა და შესაბამისი კურსების შეთავაზება;
4. შიდა საუნივერსიტეტო აქტივობებთან და რესურსებთან დაკავშირებით გაძლიერდეს სტუდენტების ინფორმირების და ჩართულობის მექანიზმები.

6. მეექვსე საკითხი : შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში „ბრიტანეთის კვლევების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბრიტანეთის კვლევები (ინგლისურენოვანი)
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	MES7200001214796 07/12/2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბრიტანეთის კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0388 ინტერდისციპლინური – მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0131, თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქ N92
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხისზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს – ბრიტანულ უნივერსიტეტში საქართველოში ბრიტანეთის კვლევების ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა 2022 წლის 17 ივნისს. ვიზიტმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, დამსაქმებლებს, მაგისტრანტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აუდიტორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა. ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა.

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში „ბრიტანეთის კვლევების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. **1.** შესწორდეს სამაგისტრო რუკები და პროგრამის სწავლის შედეგების ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში ამოღებულ იქნას მითითება სასწავლო კურსზე „გაერთიანებული სამეფოს საზოგადოება და კულტურა“.
2. **2.** შეივსოს სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;
3. **3.** გადამუშავდეს სილაბუსები: 1. „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლამდე“; 2. „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლიდან დღემდე“; 3. „ბრიტანული ლიტერატურის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“.
4. **4.** გადამუშავდეს აკადემიური ნაშრომის შეფასების სისტემა და დაკორექტირდეს როგორც მინიმალური ზღვარი აკადემიური ნაშრომის დაცვისთვის, ისე მისი საჯარო დაცვაზე შეფასება.
5. **5.** დაინერგოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტს შეფასებების გაცნობის, სიახლეების მიღებისა და სასწავლო განრიგის უკეთ ათვისების საშუალებას მისცემს.
6. **6.** გაიწეროს სამეცნიერო ხელმძღვანელის არჩევის წესი, შერჩევის კრიტერიუმები, სტანდარტები, ფუნქციები და მოვალეობები.
7. **7.** აუცილებელია ბიბლიოთეკის გამდიდრება სამეცნიერო ლიტერატურით.
8. **8.** აუცილებელია განხორციელდეს პროგრამის როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთის პროგრამებთან სიღრმისეული დადარება, რაც აისახება ცალკეულ ბენჩმარკინგის დოკუმენტში.

დასკვნის პროექტის წარდგენის შემდგომ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი და მტკიცებულებები, რომ მათ გაიზიარეს რეკომენდაციების ნაწილი, კერძოდ: 2.3. – წარმოდგენილია გადამუშავებული სილაბუსები: „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლამდე“; „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლიდან დღემდე“; „ბრიტანული ლიტერატურის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“; 2.6. – წარმოდგენილია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი და შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; 3.2. – წარმოდგენილია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი. გარდა ამისა, წარმოდგენილია დოკუმენტები, 5 რომლებიც ადასტურებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვას. ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობს უშუალოდ აკრედიტაციის ვიზიტისთვის არსებული ვითარებით, გადაწყდა, რომ დასკვნა დარჩება უცვლელი, ხოლო რეკომენდაციების საკითხს გადაწყვეტს საბჭო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულად იზიარებს დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის ადგილობრივ და უცხოეთის უნივერსიტეტებთან შედარების შედეგად მიღებულ ინფორმაციას მიოცავდა, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევისა და ანალიზის დოკუმენტი, რომელიც წარდგენილი იყო სააკრედიტაციო დოკუმენტებთან ერთად. ამასთან, უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა პროგრამის წლიური შეფასების ფორმა, რომლის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენდა ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი. ბრიტანეთის კვლევების სამაგისტრო პროგრამაზე წლიური შეფასების ფორმა შეივსო ივლისის თვეში, სადაც აისახა ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგად მიღებული შედეგები და დაწესებულებამ აღნიშნული წარმოადგინა ცალკე დოკუმენტის სახით.

ამასთან, გადამუშავდა უნივერსიტეტში მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი, რომელიც ორ ნაწილად გაიყო: სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესებად. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში დეტალურად გაიწერა ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევის წესი და მისი ფუნქცია/მოვალეობები. აღიშნული, ასევე, გაწერილია პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი მონაწილეობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში სხვადასხვა დონით. სასწავლო კურსი - გაერთიანებული სამეფოს საზოგადოება და კულტურა არის პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი, რომელიც განიხილავს გაერთიანებული სამეფოს მთავარ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებს, აღწერს მისი კულტურის და საზოგადოების დამახასიათებელ მრავალფეროვან გარემოს; კურსი, ასევე, განიხილავს გაერთიანებული სამეფოს კულტურის განვითარების ძირითად ეტაპებს სხვადასხვა ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში და მათ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს; ასევე, კურსი საშუალებას აძლევს მაგისრანტებს შეაფასონ სხვადასხვა კულტურული პროცესები და გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები. კურსში განხილული კულტურული მახასიათებლები გარკვეული დოზით გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურის განვითარების ეტაპებსაც მოიცავს. აღნიშნული საკითხები, უშუალოდ, მონაწილეობს პროგრამის პირველი ორი შედეგის მიღწევაში საწყის დონეზე, რაც გულისხმობს, რომ ამ კურსებში ხდება ამ შედეგების საწყის დონეზე მიღწევა და შემდგომში ღრმავდება/სრულდება სხვა სასწავლო კურსებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:30

დასრულების დრო: 19:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში „ბრიტანეთის კვლევების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში „ბრიტანეთის კვლევების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2028 წლის 31 დეკემბრამდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1.2.1 შესწორდეს სამაგისტრო რუკები და პროგრამის სწავლის შედეგების ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში ამოღებულ იქნას მითითება სასწავლო კურსზე „გაერთიანებული სამეფოს საზოგადოება და კულტურა“.

2.3.1 შეივსოს სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;

2.3.2 გადამუშავდეს სილაბუსები: 1. „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლამდე“; 2. „გაერთიანებული სამეფოს ლიტერატურა 1910 წლიდან დღემდე“; 3. „ბრიტანული ლიტერატურის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“.

2.6.1 გადამუშავდეს აკადემიური ნაშრომის შეფასების სისტემა და დაკორექტირდეს როგორც მინიმალური ზღვარი აკადემიური ნაშრომის დაცვისთვის, ისე მისი საჯარო დაცვაზე შეფასება.

3.1.1 დაინერგოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტს შეფასებების გაცნობის, სიახლეების მიღებისა და სასწავლო განრიგის უკეთ ათვისების საშუალებას მისცემს.

3.2.1 გაიწეროს სამეცნიერო ხელმძღვანელის არჩევის წესი, შერჩევის კრიტერიუმები, სტანდარტები, ფუნქციები და მოვალეობები.

4.3.1 აუცილებელია ბიბლიოთეკის გამდიდრება სამეცნიერო ლიტერატურით.

5.3.1 აუცილებელია განხორციელდეს პროგრამის როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთის პროგრამებთან სიღრმისეული დადარება, რაც აისახება ცალკეულ ბენჩმარკინგის დოკუმენტში.

რჩევები:
2.2.2 სასურველია მოხდეს კრედიტების დივერსიფიკაცია არჩევითი საგნების შემთხვევაში, რაც სტუდენტებს მეტი არჩევითი საგნის აღების საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ეს შესაძლებელს გახდის არჩევითი საგნების უფრო გამრავალფეროვნებას.

2.3.3 დამხმარე მასალის სახით „შემოქმედებითი წერის“ სილაბუსს დაემატოს ცნობილ ავტორთა ვიდეო მასტერ-კლასები.

2.4.1 სასურველია, ყველა იმ კურსის სილაბუსში, სადაც ფინალურ პროექტს მცირე საკვლევი ნაშრომის დიზაინი აქვს, მკაფიოდ იყოს გაწერილი ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა გამოყენებული წყაროების მიმოხილვა, დასკვნები, ციტირების წესი, პლაგიატის მარეგულირებელი ნორმები.

2.4.2. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პარალელურად, სასურველია გააქტიურდეს სამეცნიერო წრეების, სტუდენტური პუბლიკაციების, სტუდენტთა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობის კომპონენტი, კვლევითი თანამშრომლობა ადგილობრივ თუ უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტთა სტუდენტებთან.

3.1.2 სასურველია, სილაბუსებში მიეთითოს საკონსულტაციო საათები.

5.1.1 სასურველია, ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრები ოქმის სახით იყრიდეს თავს ერთიან დოკუმენტში და წარმოდგენილი იყოს, როგორც თანდართული მტკიცებულება

5.2.1 სასურველია, გარე შეფასებებით მოხდეს ნაკლოვანი და გასაუმჯობესებელი კომპონენტების უფრო მეტად იდენტიფიცირება. შეფასებები უნდა იყოს უფრო დეტალური და სიღრმისეული;

5.2.2 სასურველია, პროგრამა შეფასდეს უცხოელი შემფასებლის მიერ.

7. მეშვიდე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის N93 გადაწყვეტილება;
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის დოქტორი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 History and Archaeology/ ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	54
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, თბილისი, A კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა - ირინა ლობჟანიძემ

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 2011 წლიდან იყო ნაწილი „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისა. სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შეცვლის შემდეგ, მათთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, „სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა დაიშალა ცალკეული მიმართულებების მიხედვით. არქეოლოგიის მიმართულებით წარმოდგენილ იქნა „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შედგება 60 სასწავლო კრედიტისაგან, საიდანაც 42 კრედიტი სავალდებულო, ხოლო 18 კრედიტი არჩევით კომპონენტებს ეთმობა. კვლევითი კომპონენტის სახით მოცემულია სადოქტორო ნაშრომი. არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, პროგრამა თავისი შინაარსითა თუ სტრუქტურით უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – არქეოლოგიის დოქტორი – შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის გზით, დისტანციურ ფორმატში, ცენტრის მიერ გაზიარებული მასალების საფუძველზე. არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შესაფასებელი იყო I, II და IV სტანდარტები. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაშია სამივე სტანდარტთან

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. **1.** დაზუსტდეს საგნის – „ქრისტიანული რელიგიის, კულტურისა და ხელოვნების კვლევა არქეოლოგიური მეთოდების გამოყენებით“ – სილაბუსში მოცემული სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა.
2. **2.** მოწესრიგდეს დოკუმენტაცია და პროგრამაში ჩართული პერსონალი მითითებულ იქნას მათი სწორი აკადემიური თანამდებობებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სრულიად იზიარებს ექპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:20

დასრულების დრო: 20:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო პროგრამაზე დაწყებული არაგეგმური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

8. მერვე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისათვის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1		

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისთვის
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.05.2021 № 497927
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასალათმცოდნეობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული Engineering and engineering trades not elsewhere classified
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი, 0162, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა - ირინა ლონჟანიძემ

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 28.05.2021. ხოლო აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი 28.05.2022. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ნათელია, რომ აკრედიტაციის ექსპერტებისა და შემდგომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, მკაფიოდ გაიწეროს სილაბუსებში საშინაო დავალებათა რუბრიკები სილაბუსებში: „მყარი ტანის ფიზიკა I, II",„კვანტური მოწყობილობების ფიზიკა I"
2. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომებში დაცული იქნას ციტირებული ლიტერატურის დამოწმების სავალდებულო სტილი
3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „მყარი ტანის ფიზიკა I, II" მითითებული ლიტერატურა: S.M. Sze and K. K. Ng, Physics of Semiconductor Devices, third edition (Wiley, New York, 2007) განთავსდეს ბიბლიოთეკაში ან სილაბუსში მიეთითოს შესაბამისი ლიტერატურა
4. პროგრამის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტსა და მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტს(დელტა) შორის ურთიერთობის ფორმა „მემორანდუმი" შეიცვალოს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტით „ხელშეკრულებით".
5. გასწორდეს პროგრამის ბიუჯეტში არსებული შეუსაბამობანი

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექპერტთა ჯგუფს

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:40

დასრულების დრო: 20:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისათვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ახალი მასალები ნანოელექტრონიკისა და ნანოინჟინერიისათვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

9. მეცხრე საკითხი : . სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ენერგეტიკა და ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	16/06/2021 N574574
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0713 - ელექტრობა და ენერგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას ქ., No 77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა - ეკატერინე შაკიაშვილმა

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები შესრულებულია: სწავლის შედეგები გაწერილია კონცენტრაციების მიხედვით, სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ახალი ლაბორატორიებით, სემინარების და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებაზე დაწესებულია მონიტორინგი. დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექპერტთა მიერ განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია ერთის გარდა, რომელიც ეხებოდა ეკონომიკის სწავლებას. მიუხედავად იმისა, რომ მოხდა სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება, მოცემული სასწავლო კურსი კვლავ არჩევით საგნად რჩება და, ასევე, მისი ორ სემესტრად გაყოფა არ მომხდარა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში, კონკრეტულ თემაზე ფოკუსირებული საგანთა ჯგუფების დაძლევით, თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგი კონცენტრირდა ვიწრო მიმართულებით.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, მოდიფიცირების შედეგად პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო ჟიული შარტავას სახელობის სასწავლო – სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიაში გამოყენებულია როგორც სასწავლო დანიშნულების, ასევე საინჟინრო ობიექტებზე რეალურ ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენებული აღჭურვილობა. ლაბორატორიის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ბაზები მოიცავს მიკროპროცესორული სისტემების, ელექტრული წრედების, სისტემათა ინჟინერინგის, ბიზნეს– პროცესების ინჟინერინგის, SCADA სისტემების ლაბორატორიებს. 2021/22 სასწავლო წლიდან ფაკულტეტზე ფუნქციონირება დაიწყო 280,000.00 ლარის საერთო ღირებულების ელექტროტექნიკის და ელექტრონიკის ლაბორატორიამ MCC/საქართველოს და სან დიეგო/საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული ხელსაწყოები და მოწყობილობები ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, რომ გამოიყენონ საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და კვლევითი სამუშაოების საწარმოებლად.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა 2022 წლის 12 იანვარს სამსახურებრივი ბარათით მიმართა დეპარტამენტის ხელმძღვანელებს და კომისიის რეგლამენტით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში მოითხოვა გონივრულ ვადაში (2022 წლის 20 თებერვლამდე) ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების ოქმების წარმოდგენა. ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებაზე მონიტორინგის განხორციელებისა და ლაბორატორიული მეცადინეობების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობების მონიტორინგის გეგმა.

რაც შეეხება ეკონომიკის საკითხს, აღნიშნული განსაზღვრული იყო რჩევის სახით, თუმცა დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 21:10

დასრულების დრო: 21:20

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ენერგეტიკა და ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტების შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ენერგეტიკა და ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 12 აგვისტოს, 21:24 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით